პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


ვსა 010606
01.10.07.009.001
01.10.07.009.064
01.10.07.003.598
01.10.07.003.668
01.10.07.003.659
01.10.07.003.570
01.10.07.003.552
01.10.07.003.347
01.10.07.003.019
01.10.07.003.983
01.10.07.003.852
01.10.07.003.958
01.10.07.003.959
01.10.07.003.957
01.10.07.003.956
01.10.07.003.978
01.10.07.003.979
01.10.07.003.980
01.10.07.003.982
01.10.07.003.962
01.10.07.008.001
01.10.07.007.068
01.10.07.003.017
01.00.211
01.00.003
დიმიტრე თავდადებულის ქუჩა
სანდრო მირიანაშვილის ქუჩა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031914364**
თარიღი: **23/05/2019**
პინი: **6385**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ახალი დიღმის დასახლების მეოთხე ეტაპის ამხანაგობის თავმჯდომარის შოთა აბულაძის 2018 წლის 8 აგვისტოს საქმე #19/031822050-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ახალი დიღმის დასახლების მეოთხე ეტაპის დამისამართებას.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 1 (ერთი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

NATIONAL PALACE

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე
N(N)LE NATIONAL YOUTH AND CHILDREN PALACE

წერილის ნომერი: **72-01190391446**
თარიღი: **08/02/2019**
პინი: **8443**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ რომ, ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" სპორტული მიმართულების დიდი ტრადიციების მქონე საჭადრაკო სკოლა ატარებს ვახტანგ ქარსელაძის სახელს.

ვახტანგ ქარსელაძე - საქართველოს დამსხაურებული მასწავლებელი და საქართველოს დამსახურებული მწვრთელი 1947-1966 წლებში მოღვაწეობდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის პედაგოგად. მისი მოწაფეები იყვნენ: ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, თ. გიორგაძე, ი. ჩიქოვანი, დ. ჯანოევი, ა. ბოკუჩავა და სხვა. ვატრანგ ქარსელაძე ითვლება საქართველოში ქალთა საჭადრაკო სკოლის ფუძემდებლად და აღიარებულია მე-20 საუკუნის საუკეთესო ქართველ მწვრთნელად.

ვახტანგ ქარსელაძის დამსახურების გათვალისწინებით, ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" და განსაკუთრებით საჭადრაკო სკოლა მოგმართავთ ინიციატივით, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

თინათინ რუხაძე

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

პროექტ „ახალი დიღმის“ მეოთხე ეტაპის ამხანაგობის

„ ახალი დიღომი 25“ „ ახალი დიღომი 26“ „ ახალი დიღომი 27“

„ ახალი დიღომი 28“ „ ახალი დიღომი 29“

თავმჯდომარის შოთა აბულაძის

განცხადება

ქ. თბილისი 8 აგვისტო, 2018 წელი

მოგახსენებთ, რომ ქ.თბილისში დიდ დიღომში მდებარე „ახალი დიღმის“ დასახლების (დემეტრე თავდადებულის N45-ის მიმდებარე ტერიტორია) პირველ,მეორე და მესამე ეტაპზე, სადაც 800-მდე ოჯახი ცხოვრობს, უკვე დამისამართებულია, რამაც აღმოფხვრა მცხოვრებთა სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემები.

პროექტის მეოთხე ეტაპზე აშენდა 5 კორპუსი, სადაც 150-მდე ოჯახი ცხოვრობს. აღნიშნული ტერიტორია არ არის დამისამართებული. აღნიშნული მდგომარეობის გამო, მოსახლეობას სერიოზული პრობლემები ექმნებათ სამართლებრივი ურთიერთობების განხორციელების დროს. ვერ ახერხებენ საკუთარ ბინებში ჩაწერას, ვერ სარგებლობენ საფოსტო მომსახურებით, ვერ ახერხებენ სხვადასხვა იურიდიული დოკუმენტაციის რეგისტრაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ, გულთან მიიტანოთ ეს პრობლემა და ახალი დიღმის დასახლების მეოთხე ეტაპის ქუჩებს მიანიჭოთ მისამართები.

პატივისცემით,

პროექტ „ახალი დიღმის“ მეოთხე ეტაპის ამხანაგობის

„ ახალი დიღომი 25“ „ ახალი დიღომი 26“ „ ახალი დიღომი 27“

„ ახალი დიღომი 28“ „ ახალი დიღომი 29“

თავმჯდომარე - შოთა აბულაძის (პ/ნ: 60001088650)

მობ: 571 77 58 67 შ. აბულაძე



ვახტანგ ქარსელაძე

(1919-1966)

მოჭადრაკე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

დაიბადა 1919 წელს.

1947-1966 წელს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის მასწავლებელი. მისი მოწაფეები იყვნენ ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, თ. გიორგაძე, ი. ჩიქოვანი, დ. ჯანოევი, ა. ბოკუჩავა და სხვა; მოჭადრაკე, მწვრთნელი, საქართველოში ქალთა საჭადრაკო სკოლის მესაძირკვლე. მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები, პრემიები და პრიზები. 1957 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება, 1968 წელს საქართველოს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ვახტანგ ქარსელაძის მოწაფეები იყვნენ ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, თ. გიორგაძე, ი ჩიქოვანი, დ. ჯანოევი, ა. ბოკუჩავა და სხვა.

გარდაიცვალა 1966 წელს, 47 წლის ასაკში.